

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ს ხ დ ო მ ა

2018 წლის 5 თებერვალი, 11:00 საათი

დღის წესრიგი

1. გადაწყვეტილების პროექტი - „სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის ბიუჯეტის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ“
- პროექტი ითვალისწინებს კრედიტორული დავალიანების დაფარვის მიზნით საერთო სასამართლოებისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბიუჯეტების კვარტალურ განწერაში შესაბამისი ცვლილების შეტანას.

მომხსენებელი	> სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავა
--------------	---

2. გადაწყვეტილების პროექტი - „იჯარის ხელშეკრულების დადებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
- პროექტი ითვალისწინებს პეკინის ქ. №29-ში მდებარე ფართზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას.

მომხსენებელი	> სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავა
--------------	---

3. გადაწყვეტილების პროექტი - „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“
- პროექტი ითვალისწინებს მოსამართლეთათვის დანამატის გაცემის საფუძვლების განსაზღვრას.

მომხსენებელი	> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

4. გადაწყვეტილების პროექტი - „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
- პროექტი ითვალისწინებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის შემადგენლობაში მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრას/ცვლილებას.

მომხსენებელი	> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

5. გადაწყვეტილების პროექტი - „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურის, სამტატო ნუსხისა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის №1/61 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში თანაშემწისა და სხდომის მდივნის სამტატო ერთეულების დამატებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

6. კანონის პროექტი - „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემასთან ერთად სისტემის ამოქმედებამდე არსებული წესის მოქმედებას 2018 წლის 1 სექტემბრამდე.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

7. კანონის პროექტი - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

- პროექტი ითვალისწინებს საომარი მდგომარეობისას ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირის მიმართ პატიმრობის სასამართლოს მიერ გადავადებას, ხოლო პირის საომარი მდგომარეობიდან დაბრუნების შემთხვევაში, შესაბამისი პირობების არსებობისას, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

8. მოსამართლეთათვის საწვავის გამოყოფის შესახებ

- განიხილება მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლეების ბ. შონიას, მ. ოშხარელისა და კ. გოცირიძის წერილები

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე